ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №103

ბორჯომი 25 მარტი 2016 წ.

*ერთის მხრივ **თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი,** მისამართი: ბორჯომი მესხეთის ქ. №5, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961, წარმოდგენილი გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)*

*და მეორეს მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე ლალი მენაბდიშვილი,** მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ.№12, პირადი ნომერი 11001003805 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მინდობილი პირის მამუკა სარალიძის სახით*

*„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა **ნათურების, როზეტების, მავთულის და სხვადასხვა ხელსაწყოების** (CPV 24900000, 31200000, 31300000, 31500000, 31600000, 44100000, 44300000, 44500000) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **541 (ხუთას ორმოცდაერთი) ლარი და 00 თეთრი დღგ-ს გარეშე.***

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 `მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი"----------

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი (დანართი 1).

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში..

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთიანად მიღება-ჩაბარების აქტისა და ანაზღაურებისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3% ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

"შემსყიდველი"---------- "მიმწოდებელი"----------

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაში. დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს სააღსრულებო დაწესებულებას (როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი" ----------

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი"

თვითმმართველი ერთეული
ბორჯომის მუნიციპალიტეტი,
ბორჯომი მესხეთის ქ.№5.
საიდენტიფიკაციო კოდი 226161961,
ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო სამსახური,
სახაზინო კოდი 300629921,
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი;

"მიმწოდებელი"

ი.მ. ლალი მენაბდიშვილი
ბორჯომი, მესხეთის ქ.№12
საიდენტიფიკაციო კოდი 11001003805
ს.ს. "თიბისი ბანკი"ს/ჯ ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE22
№GE43TB3010000000644711

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- დ. ყიფიანი

ბ.ა.

მინდობილი პირი

---------- მ. სარალიძე

ბ.ა.

"შემსყიდველი" ----------

"მიმწოდებელი"----------

დანართი 1.

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა /ცალი/	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა
1	2	3	4	5	6	7
1	გამაგრძელებელი	31224810	15	8,50	127,50	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში
2	როზეტი "პატრონა"	31311000	10	0,70	7,00	
3	კაბელის შემაერთებელი	31343000	10	2,00	20,00	
4	როზეტი "ჩანგალი"	31311000	8	2,00	16,00	
5	საიზოლაციო ლენტი	31651000	5	1,00	5,00	
6	წებო ორკომპონენტიანი	24910000	3	4,50	13,50	
7	ნათურა პატარა	31531000	88	2,00	176,00	
8	ნათურა დიდი	31531000	20	3,50	70,00	
9	ნათურა	31531000	61	0,50	30,50	
10	ლურსმანი	44192200	5	2,50	12,50	
11	ხელსაწყოს ნაწილი	44514200	5	1,00	5,00	
12	ხელის ხერხი	44511500	2	1,00	2,00	
13	ხელსაწყოების ნაწილები	44514200	3	1,00	3,00	
14	მრავალწვერა მავთული	44311000	20	1,30	26,00	
15	ქანჩის გასაღები	44512500	3	9,00	27,00	
	სულ				541,00	

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

55870657371016

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160065019

რეგისტრაციის თარიღი

27.01.2016 წ

ნოტარიუსი: ლუიზა უმიკაშვილი
მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #61, პირველი სართული
ტელეფონი: 2 34 59 16

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდაშვიდ იანვარს მე, ნოტარიუსს ლუიზა უმიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №61. პირველი სართული, მომმართა ქალბატონმა ლალი მენაბდიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის ინდივიდუალური მეწარმე, სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად

ლალი მენაბდიშვილმა (დაბადებული 11.06.1971წ. გორში, პირადი №11001003805, პირადობის მოწმობის №ბ 1412576, გაცემული 19.04.2011წ. სრს ძველი თბილისის სამსახურის მიერ, მოქმედების ვადა 19.04.2021წ. მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №128, ბინა 45) მომმართა.

მე შევამოწმე ინდივიდუალური მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს უფლებამოსილება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ გვერდის www.public.reestri.gov.ge მეშვეობით, რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15027734, 05/02/2015 16:02:07, საიდენტიფიკაციო კოდი 11001003805).

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ლუიზა უმიკაშვილმა, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და მოიწონა იგი, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდაშვიდ იანვარს მე, ლალი მენაბდიშვილმა, როგორც ინდივიდუალური მეწარმე, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია 11001003805, რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი",

მამუკა სარალიძეს (დაბადებული 04.04.1967წ. ქ. ბორჯომში, პირადი №11001003750, მისამართი: ბორჯომი, გ. ბერუაშვილის ქ. №13), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი პირი", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მამუკა სარალიძე უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი, როგორც ინდივიდუალური მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან და დაწესებულებებთან მიმართებაში აგრეთვე იყოს ჩემი, როგორც ინდივიდუალური მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს წარმომადგენელი სს „საქართველოს ბანკ"-ში, სს „თიბისი ბანკ"-ში, სს „ლიბერთი ბანკ"-ში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმერ ბანკში და მათ სერვის ცენტრებში, რათა განკარგოს ინდივიდუალური მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს სახელზე გახსნილი ანგარიში, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები საკალულ და სალარო ანგარიშებზე, მიიღოს ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურეობა, გამოიტანოს ... შეიტანოს ნებისმიერი თანხა მიუხედავად მისი ოდენობისა, აწარმოოს გადარიცხვები, განაღდ... კონვერტაცია, მიიღოს ცნობა ანგარიშზე თანხის შესახებ, საბანკო ამონაწერი, ისარგებლოს მობ... ბანკით და ინტერნეტ ბანკინგით, დახუროს ან გააუქმოს ანგარიში, საჭიროების შემთხვევ... გახსნას ანგარიში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმერ ბანკში, მოხსნას ბლოკი ... დაბლოკოს, მიიღოს პლასტიკური ბარათი და დამატებითი პლასტიკური ბარათი ... სახელზე, ასევე პლასტიკური ბარათების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყ...

მათი აღდგენა. იყოს ჩემი, როგორც ინდივიდუალური მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და მის სტრუქტურულ ქვეგანაყოფებში, რათა შეასრულოს სასაქონლო ოპერაციები, საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, შეიტანოს განცხადებები, მოახდინოს ელექტრონული ვერსიით დეკლარირება, მიიღოს პაროლი, მიიღოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, შედარების აქტები, ცნობები, ამონაწერი და სხვა დოკუმენტები, მოახდინოს საკასო აპარატის გამოყენება, შეცვლა, გადაფორმება, ზედნადების გამოწერა, ასევე იყოს ჩემი, როგორც ინდივიდუალური მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს წარმომადგენელი გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – პორტალში ტვირთის გაგზავნასთან, მიღებასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, გააფორმოს კონტრაქტები, აწარმოოს ყველა სახის კომერციული საქმიანობა, საჭიროების შემთხვევაში მოაწეროს ხელი ინდივიდუალურ მეწარმე „ლალი მენაბდიშვილი-ლალი"-ს სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილ პირს უფლება არა აქვს თავისი შეხედულებისამებრ აღნიშნული მინდობილობა გადასცეს სხვა პირებს. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება; გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე მამუკა სარალიძე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთ არსებული ეგზემპლიარი დაუბრუნოს მიმნდობს.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლუიზა უმიკაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ორი - გადაეცა მხარეს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 10.00 ლარი და რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7-ე მუხლის და 39-ე მუხლის საფუძველზე.

ინდივიდუალური მეწარმე
ლალი მენაბდიშვილი

ნოტარიუსი

ლუიზა უმიკაშვილი